



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N57

2015 წლის 3 ივლისი

ქ. დუშეთი

დიზელის საწვავის გამარტივებული წესით შესყიდვაზე დუშეთის მუნიციპალიტეტის

გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

მიმდინარე წლის ივნისში, ძლიერი წვიმების შედეგად, ჭონქაძის, ჭოპორტის, ჟინვალის, ბაზალეთის და ქ. დუშეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში დაზიანდა შიდა საავტომობილო გზები, სანიაღვრე არხები და ხევის კალაპოტები, რომელთა სწრაფი რეაბილიტაცია სასიცოცხლოდ აუცილებელია მოსახლეობისათვის.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში შიდა საავტომობილო გზების, სანიაღვრე არხების და ხევის კალაპოტების გაწმენდითი სამუშაოებისათვის საჭიროა განხორციელდეს 1 992.80 (ერთი ათას ცხრაას ოთხმოცდათორმეტი) ლარის სადიზელო საწვავის შეძენა.

აღნიშნული შესყიდვა უნდა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის მეშვეობით, რომლის პროცედურებიც მოითხოვს გარკვეულ დროს.

იმის გათვალისწინებით, რომ ძლიერი წვიმების შედეგად შექმნილია მძიმე ვითარება და მათ უმოკლეს ვადებში აღმოფხვრას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მოსახლეობისათვის, შექმნილ ვითარებას დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აფასებს, როგორც გადაუდებელ აუცილებლობას და ითხოვს თანხმობას ძლიერი წვიმის შედეგების სალიკვიდაციოდ სახელმწიფო შესყიდვა განხორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N 9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს 1 992.80 (ერთი ათას ცხრაას ოთხმოცდათორმეტი) ლარის სადიზელო საწვავის შეძენა მოახდინოს გამარტივებული შესყიდვის წესით.

2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი